ეკატერინე თაბუკაშვილი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების ისტორიის შესახებ
/XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის დასაწყისი/

საკვანძო სიტყვები: სამხატვრო განათლება, კავკასიის ნატიფი ხელოვნების საზოგადოება, სახვითი ხელოვნების სწავლება

XIX საუკუნე - XX საუკუნის დასაწყისის თბილისის მხატვრული, ცოცხალი და სიახლეებით დატვირთული სახელოვნებო სივრცე არაერთი მკვლევრის სამეცნიერო კვლევა-ძიების საგანია. ეს სტატიაც საარქივო მასალებში დაცული დოკუმენტების მიხედვით საქართველოში მხატვართა საზოგადოებების, სამხატვრო სკოლების, სამხატვრო განათლების ჩამოყალიბების ქრონოლოგიური განვითარების ერთიანი სურათის წარდგენას ემსახურება.

XVIII საუკუნის ბოლოს, სამხატვრო განათლების მიღების აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე, საგულისხმო ცნობას გვაწვდის იოანე ბაგრატიონის ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი წყობილების რეფორმების მიზნით შედგენილი დებულების 59-ე თავში მოყვანილი სიტყვები: „იყოს მხატვრების უფროსი და ესე დასდებს ფასსა ხატთა, სახეებთა ფერადებათა და ვარაყთა, და ამის სიტყვით იმუშავებდნენ სხვიდამ მოსულნი მხატვარნი და ავრეთვე აქაურნი".[1] იოანე ბაგრატიონი „სამხატვრო" ხელოვნებაში დაოსტატებას სახელმწიფოებრივი დატვირთვის საქმედ მოიაზრებდა და ამგვარი თხოვნით გიორგი XII (1798-1800 ქართლ-კახეთის ბოლო მეფეს) მიმართავდა. ჩვეულებისამებრ, როგორც ეს, რაც არცთუ იშვიათად ხდებოდა, ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის გამო ვერ განხორციელდა.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან კი ქართველი საზოგადო მოღვაწეები, რომელთაც განათლება რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში ჰქონდათ მიღებული, ეროვნული კულტურის, ხელოვნების ეროვნულთან კავშირზე, მასთან ერთიანობაზე აკეთებდნენ აქცენტს. ეს კი დასავლეთ ევროპულ ფილოსოფიურ-ესთეტიკურ შემეცნებათა საკითხებისა და კულტურის სიახლეთა გააზრებასაც გულისხმობდა. ამ მხრივ ღირსშესანიშნავია არჩილ ჯორჯაძის შეხედულებანი, მისი ხელოვნების ფილოსოფია. ა. ჯორჯაძის მოსაზრებით, ხელოვნება სამყაროს „ვაგების" და ზნეობრივი ამაღლების ერთ-ერთი საშუალებაა. იგი ხელოვნების ნაწარმოების ანალიზისას შინაარსზე უფრო ამახვილებდა ყურადღებას, ვიდრე ფორმისეულ გამოხატულებაზე.

ტრადიციული მხატვრული ფორმის ერთგვარი უკუგდებით მხატვრულად მოაზროვნე შემოქმედნი საუბრობენ „ხელოვნება ხელოვნებისათვის". გერონტი ქიქოძის წერილში „ქართული ხელოვნებისათვის" ვკითხულობთ: „ახალი გზების ძიება თითქმის ყველა დარგში ეტყობა ქართულ ხელოვნებას, ტრადიციული ფორმების რღვევა და ელემენტებით შექმნა ახალი ესთეტიკური სინთეზისთვის მოვლენაა,

1 სურგულაძე ი., „სჯულდება" იოანე ბაგრატიონისა", თბ., 1957, გვ. 17.

განსაკუთრებით დასაფასებელნი არიან ახალგაზრდა ქართველი პოეტები, მხატვრები მუსიკოსები, რომელთა სურვილია განახლებულ საქართველოს განახლებული ხელოვნება მისცენ".[2]

იმპერიული რუსეთის ქვეშ მყოფი საქართველოსთვის 1860-1870-იანი წლები ისტორიულად გარდამტეხი პერიოდია. ბატონყმობის გაუქმება, ბურჟუაზიული ევროპული გამოცდილების გაზიარება, ამასთანავე, საკუთარი ეროვნული მსოფლმხედველობით გაჟღენთილი აზროვნება ამ დროის მახასიათებელი ტენდენციაა. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან ერთად, არაერთი საქველმოქმედო საზოგადოება ყალიბდება. არსდება პროფესიული თეატრი, განვითარებას იწყებს სახვითი ხელოვნების დარგები: ქანდაკება, დაზგური ფერწერა, გრაფიკა. არსებითად მნიშვნელოვანია, ამ პერიოდის განათლების მთავარი, მამოძრავებელი ეროვნული მსოფლშეგრძნების (ხელოვნებაში ეროვნული ფორმის ძიება) საყოველთაო იდეის გამოხატულება.

როგორც ითქვა, XIX საუკუნის 60-იანი წლებისა და XX საუკუნის დასაწყისში ქართული საზოგადოებისთვის უმთავრეს სამოქმედო ნიშანსვეტად ეროვნული კულტურის, ფასეულობების განსაზღვრა გახდა მთავარი მამოძრავებელი იდეა. ეროვნული კონცეფცია ამ დროის თაობის სულის ძახილია. სამოციანელების, თერგდალეულთა მიერ ნასაზრდოებ ეროვნული ცნობიერების ამაღლება ილია ჭავჭავაძის გამონათქვამს - „ენა, მამული, სარწმუნოებას" ემყარებოდა. რუსეთსა და ევროპაში განათლებას ზიარებული სამოციანელები კარგად იცნობდნენ რევოლუციურ იდეებს, რამაც დიდი ზეგავლენა მოახდინა მათ პოლიტიკურ აზროვნებასა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე. მათ მიერ შექმნილი პროგრამის მიხედვით რუსეთის იმპერიის „არეალში" ავტონომიის, შემდეგ კი ეროვნული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბება ჰქონდათ განზრახული. სამოციანელთა თაობა „ხელოვნების და მწერლობის, დემოკრატიის დამკვიდრებისთვის იბრძოდა". სწორედ მათი ძალისხმევით შეიქმნა არაერთი ეროვნული სულისკვეთების კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია. თერგდალეულთა მოღვაწეობა რუსული ხელისუფლების ზეგავლენის გაძლიერებას დაემთხვა.

ილია ჭავჭავაძე მომხრეებთან ერთად ამ რთულ პერიოდშიც ეროვნული სულისკვეთებით აგრძელებდა მოღვაწეობას, მისი ძალისხმევით დაარსდა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სათავადაზნაურო ბანკები, რომელთა შემოწირულობით გაიხსნა ქართული სკოლები და თეატრი. 1879 წელს შეიქმნა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", რომლის თავმჯდომარე დიმიტრი ყიფიანი გახლდათ. საზოგადოების დახმარებით არა მარტო სკოლები გაიხსნა, არამედ დაიბეჭდა არაერთი ისტორიული ხასიათის გამოცემა, შეიკრიბა ეთნოლოგიის მრავალი ნიმუში, დაიწყო ისტორიულ ძეგლებზე ზრუნვა. ამ პერიოდის პოლიტიკური გაერთიანებების სამოქმედო პროგრამაში ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი ეროვნულ კულტურა და მასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას ეკავა. „თერგდალეულები" ხელოვნება-მწერლობას ხალხის, საზოგადოების მსახურად მიიჩნევდნენ. ხალხისა და ქვეყნის ჭირ-ვარამი, შვება-ლხენა, მწერლობა – ხელოვ-

2 აბესაძე ი., „საქართველოს მხატვართა კავშირის შექმნის სათავეებთან", თბ., 2022, გვ. 92.

ნების ზრუნვის საგანი უნდა ყოფილიყო. ეს შეხედულება მკაფიოდ და ნათლად არის გამოთქმული ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის და სხვათა ნაწერებში. ყოველი მათგანი სიცოცხლის ბოლომდე ერთგული დარჩა ამ შეხედულების".[3]

თბილისის ამ პერიოდის ისტორიულ-კულტურული მხატვრული ცხოვრების შესწავლა გვაცნობს საქართველოში ჩამოსულ, შემდეგ აქ დამკვიდრებულ მხატვართა შემოქმედებას (მათ დიდი წვლილი მიუძღვით ქართული დაზგური მხატვრობის განვითარებაში): ბ. ფოგელი, ე. ლანსერე, ი. შარლემანი, სომეხი მხატვრები გ. ბაშინჯაღიანი, ე. თათევოსიანი, ფ. ტერლემეზიანი, ა. ახოდიანი და სხვ. ეპოქის მხატვრულ ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მეცენატთა მოღვაწეობას. 1880-1890 წლებში სხვადასხვა კოლექციის (კოლექციონერობა თითქოს ხალხოსნურ როლს ირგებს) მფლობელთა მეშვეობით ვრცელდება ხელოვნების ნიმუშები, ფართოვდება მნახველთა წრე და ადვილად ხელმისაწვდომიც ხდება. 1890-იან წლებში დემოკრატ განმანათლებლებთან ეროვნული მუზეუმის შექმნის იდეაც გაჩნდა, რომლის განხორციელებაში ქართველი მეცენატების: დავით სარაჯიშვილის, პეტრე და იაკობ ზუბალაშვილების ღირსშესანიშნავი წვლილი ფასდაუდებელია. ხელოვნების გავრცელების ფორმა საცხოვრებელი სახლების ინტერიერების გაფორმებაშიც გამოვლინდა. საზოგადოების ნაწილის, შეძლებულ ადამიანთა სახლებში, ტრადიციულ ფორმებთან ერთად, ევროპული მხატვრული გაფორმების პრინციპების შერწყმას ვხვდებით. ამგვარი სინთეზის საუკეთესო ნიმუშია თბილისში ილია ჭავჭავაძის საცხოვრებელი სახლი. ხელოვნების ნაწარმოებები თანდათან მტკიცედ იმკვიდრებენ ადგილს ინტელიგენტთა საზოგადოებაში. შესაბამისად, იზრდება მხატვრის როლი, მისი დანიშნულება. აუცილებლობად იკვეთება მხატვართა საზოგადოების იმგვარი გაერთიანების შექმნა, რომელიც პროფესიონალ მხატვართა საზოგადოების ინტერესების დამცველი იქნებოდა ასეთი საზოგადოება 1873 წელს დაარსდა - „ნატიფი ხელოვნების კავკასიის საზოგადოება". მთავარ საქმედ საზოგადოება პროფესიულ სამხატვრო განათლებას მიიჩნევდა. სამხატვრო სკოლის ჩამოყალიბებაში აქტიურად მონაწილეობდნენ პეტერბურგელი მხატვრები, რომლებიც ხშირად სტუმრობდნენ „ტიფლისს". კ. მაკოვსკი, ი. რეპინი. 1880-1890 წლებში მოეწყო არაერთი გამოფენა, უფრო მასშტაბური გახდა საგამოფენო ცხოვრება 1901-1902 წლებში. გაიმართა სამხატვრო სკოლების პედაგოგების პერსონალური გამოფენა, რომელშიც მონაწილეობდნენ: გ.გაბაშვილი, გ. ბაშინჯაღიანი, გ. შარბაბჩიანი (1913), კ. ქავთარაძე (1911-1912), მხატვარ-არქიტექტორი კ. ფრანკე (1913), ვ. ჯორჯაძე (1913), კ. ზდანევიჩი (1917). საზოგადო მოღვაწეთა და ქართველი მწერლების დამსახურებით ყალიბდება მხატვრული კრიტიკაც. ამ მიმართულებით გამოირჩევიან: არჩილ ჯორჯაძე, გიორგი წერეთელი, მიხეილ ჯავახიშვილი, პეტრე უმიკაშვილი, ალექსანდრე შანშიაშვილი. მხატვრები: დავით გურამიშვილი, ვასილ ჯორჯაძე.

აღსანიშნავი ისიც არის, რომ თბილისში XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან

3 ბაქრაძე აკ., „თერგდალეულები"
https://matiane.wordpress.com/2011/08/30/akaki-bakradze-tergdaleulebi/

გამართულმა გამოფენებმა იმდენად დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინეს საზოგადოებაზე, რომ შესაძლებელია სწორედ ამგვარი ინტერესის გამოვლინების შედეგიც იყო გიმნაზიებში სწავლების ერთ-ერთ მთავარ საგნად ხატვის მოაზრება.[4]

XIX საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში მცხოვრები მხატვრები, რომელთაგანაც ბევრი უცხოელია საქართველოში სამხატვრო სკოლისა და საზოგადოების შექმნის შესახებ მსჯელობდნენ. მხატვარი გრიგოლ გაგარინი, რომელიც 1848-1854 წლებში საქართველოში ცხოვრობს, აქტიურადაა ჩართული ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. ის ერთ-ერთი პირველთაგანია, ვისი წვლილიც უაღრესად მნიშვნელოვანია სამხატვრო სკოლის დაფუძნების იდეის წინ წამოწევასა და განხორციელებაში. გრ. გაგარინს ეკუთვნის სკოლის სტრუქტურული მოდელის შექმნაც, რომელიც მხატვარმა კავკასიის მეფისნაცვალს, მიხეილ ვორონცოვს და პეტერბურგის საიმპერატორო სამხატვრო აკადემიას წერილობით გაუგზავნა. იგი ეხებოდა თბილისში სამხატვრო სკოლის გახსნას (თორმეტი მოსწავლის შემადგენლობით). გრ. გაგარინი წერილში, აუცილებელ მოთხოვნათა ჩამონათვალთან ერთად, დეტალურად აღწერდა საჭირო ინვენტარს და სწავლების დაუსწრებელ მოდელზე ამახვილებდა ყურადღებას. მისი მოსაზრებით, სკოლის მასწავლებლებად თბილისში მცხოვრები მხატვრები უნდა მიეწვიათ. ამ დროს თბილისში მოღვაწეობდნენ: თ. ბაიკოვი, ვ. ბერეჟნოი, კ. უკოვსკი, ს. ნერსესიანი. გაგარინი ხატვის პროგრამულ მეთოდოლოგიურ საკითხებზეც საუბრობს. მისი სიტყვებით: „მოსწავლეები დაიწყებენ ხატვის სწავლას კარგი გრავირებული ან ლითოგრაფირებული მოდელების გადმოხაზვით, შემდეგ თაბაშირის პირების და ბოლოს ნატურიდან ხატვით“.[5]

მხატვარს შესაფერისი შენობაც ჰქონდა შერჩეული თბილისის ერთ-ერთ უბანში, სოლოლაკში, ხიჩანოვის სახლი. „სახლის მდებარეობა შესანიშნავია განათების, სისუფთავის, ჰაერისა და ხედების სილამაზის მხრივ“. სამომავლოდ, საჭიროებისამებრ გაფართოების მიზნით, სახელოსნოების დასამატებლად„ სახლის დიდი ეზო კარგ შესაძლებლობას ქმნიდა. გაგარინის ეს მშვენიერი ინიციატივა 1849 წლის 9 და 10 დეკემბერს განიხილეს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის საბჭოს სხდომაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ: ბრიულოვი, შებუევი, კლოდტი და სხვ. „სურს თუ არა აკადემიას, რომ მისი აღზრდილები მიილტვოდნენ კლასიკური ნაწარმოების არამარტო ასლის წარმატებული გადმოტანისკენ, არამედ დამოუკიდებელი ნაწარმოების შექმნისკენ. ფერწერისა და ქანდაკების ნიმუშების შესწავლა აადვილებს ბუნების შესწავლას, მხოლოდ ბუნება იძლევა ჭეშმარიტ აღმაფრენას, მხოლოდ იგი შობს გენიოსს. მოვა დრო, როდესაც ეს შესწავლა იქნება აუცილებელი. ამდენად, რაც უფრო ადრე დაიწყებენ ამას, მით უფრო სწრაფად იქნება გასაგები ჭეშმარიტად მშვენიერი“.[6] ეს წერილი ცხადყოფს გრიგოლ გაგარინის ესთეტიკურ მრწამსს, ნატურისადმი ღრმა ინტერესს. იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა, არასაკმარისი თანხების მომიზეზებით, მხატვრის მოთხოვნას სამხატვრო სკოლის გახსნის თაობაზე უარით უპასუხა.

4 საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი. ფ. #22, ანაწ. # 2, ს. #122.
5 გაზ. „Кавказ“, #72, 1851.
6 საქ. ცსსა. ფ.7.აღ.4. ს.# 927.

თბილისში „კავკასიის ნატიფი ხელოვნების წამახალისებელი საზოგადოება“ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა 1877 წელს 14 მაისს. საზოგადოების შემადგენლობაში შედიოდნენ დიდი მთავარი, კავკასიის მეფისნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე, ოლღა თეოდორეს ასული, სტეფანე ალექსანდრეს ძე ტალიზინი, გრიგოლ გაგარინი. საზოგადოების შეადგენლობა მოიცავდა: „ოცდაცხრამეტ ნამდვილ წევრს, სამოცდაოთხ წევრ თანამშრომელს, სულ ასთერთმეტ წევრს. მათ შორის უმრავლესობას შეადგენდნენ სამხატვრო და სამუსიკო საზოგადოების წევრები“.[7] 1873 წლის მარტში თბილისში მოწვეულ იქნა კრება, რომელზეც მხატვართა გაერთიანების და წესდების შესახებ იმსჯელეს.[8] დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ 1873 წლის ივნისში დაამტკიცა „კავკასიის მხატვართა საზოგადოების“ წესდება, რომელიც ამავე წლის დეკემბერში ამოქმედდა. საზოგადოების თავმჯდომარედ სტეფანე ალექსანდრეს ძე ტალიზინი აირჩიეს. ამ თანამდებობას ის სიცოცხლის ბოლომდე იკავებდა. წესდება სამხატვრო სკოლის შექმნასაც გულისხმობდა. სკოლა 1874 წლის პირველ იანვარს გაიხსნა. ისწავლებოდა: ხაზვა, ანტიკური მოდელების თაბაშირის ასლებიდან ხატვა, პერსპექტივა, პლასტიკური ძერწვა - თიხის, თაბაშირის, ცვილის გამოყენებით. სკოლის კლასების ხელმძღვანელი პ. შიშკოვი ყოფილა. დღევანდელი რუსთაველის, ყოფილი გოლოვინის გამზირზე, ე.წ. შიოევის სახლში მდებარე სკოლა ხატვის სწავლებისთვის განკუთვნილი სპეციფიკური, აუცილებელი ინვენტარით იყო აღჭურვილი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ხელოვნება, ისტორიული პერიპეტიების მიუხედავად, ახალი მნიშვნელოვნებით არის გამორჩეული - ეროვნული გამოღვიძების, ლიტერატურაში, პუბლიცისტიკაში ახალი თაობის გამოჩენით, სრულიად ახალი ეროვნული ფასეულობით დამუხტული. სამოციანელთა ბობოქარი მოღვაწეობა და მათი შემოქმედება „იყო ტონის მიმცემი, ამ მოძრაობის. ქართველ მოღვაწეთა მოწინავე ნაწილი ეზიარა რუსეთში დემოკრატიული აზროვნების იდეებს. ნაციონალურ პრიზმაში გარდატეხა ეს იდეები და ახალი სუნთქვა შემოიტანა ქართველი ერის კულტურულ ცხოვრებაში“.[9] ამ დროის ქართული სახვითი ხელოვნება თავის განვითარების მხოლოდ საწყისებთან იმყოფება, სანამ გამოჩნდება მხატვართა თაობა, რომელსაც განათლება უცხოეთში აქვს მიღებული: ალექსანდრე მრევლიშვილი, გიორგი გაბაშვილი, მოსე თოიძე, რომანოზ გველესიანი, ალექსანდრე ბერიძე. ამ პერიოდის საქართველოს დედაქალაქი უცხოელ მხატვართა მთავარი შემოქმედებითი სამოღვაწეო ადგილია. გრ. გაგარინი, თ. ჰორშელტი, ვ. ვერეშჩაგინი, ლ. პრემაცი, მ. ზიჩი, პ. კოლჩინი, ფ. ხოდოროვიჩი, ი. ზანკოვსკი - ამ ხელოვანთა როლი განსაკუთრებულად დასაფასებელია. სწორედ მათი მონდომებით ხდება XIX საუკუნის 70-იან წლებში მხატვართა საზოგადოების ფორმირება, მხატვრული განათლების მოთხოვნა თბილისში

7 Похомов Д.А.,,К 25 летию Тифлисского художественного обшество, ჟურნ. ,,Искусство и Промишленность“, #6, 1899.

8 გაზ. „Кавказ“, 1873, # 38.

9 ფერაძე თ., „რუსი და უცხოელი მხატვრები საქართველოში“, თბ., 1964. გვ. 116.

იმდენად გაიზარდა, რომ ადგილობრივმა მხატვრებმა სულ უფრო ხშირად დაიწყეს საუბარი მხატვართა საზოგადოებისა და მასთან სამხატვრო სკოლის დაარსების შესახებ.[10] 1873 წლის შემოდგომაზე, მხატვართა საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის იმართებოდა შეხვედრები, მუშავდებოდა წესდება, სასწავლო სამოქმედო პროგრამა, მათ შორის სახელოსნოების სასწავლო ინვენტარის მოწყობისათვის. 1873 წლის 1 დეკემბერს სამხატვრო საზოგადოების წესდება კავკასიის მეფისნაცვალმა დაამტკიცა. საზოგადოების თავმჯდომარედ, როგორც ზემოთ ითქვა, სტეფანე ტალიზინი იქნა არჩეული. სკოლა 1874 წლის 1 იანვარს ქანდაკების და ხატვის კლასებით გაიხსნა. (გაკვეთილების ხანგრძლივობა ორ საათს გრძელდებოდა, საფასური 15 კაპიკს შეადგენდა). მიღება განკუთვნილი იყო რუსული ენის წერა-კითხვის მცოდნე 12 წლიდან მოსწავლეთათვის. 1877 წელს სამხატვრო საზოგადოება (ფინანსური მდგომარეობის გამო) გაერთიანდა 1871 წელს შექმნილ სამუსიკო საზოგადოებასთან და მეფისნაცვალის მიერ დამტკიცებული წესდებით 1877 წლის მარტის თვიდან ახალი სახელით „ნატიფ ხელოვნებათა წამახალისებელი კავკასიის საზოგადოების“ სახელით განაგრძო არსებობა. წესდება საზოგადოების მონაწილეთა (103 წევრის შეადგენლობით) მიერ საერთო კრებაზე განიხილეს. თავმჯდომარედ აირჩიეს ტალიზინი. საზოგადოების წევრთა შემადგენლობა კი ასეთი იყო: დ. ყიფიანი, ი. მაშნერი, ფ. ხოდოროვიჩი, მუსიკალური ნაწილის სამხატვრო ხელმძღვანელად აირჩიეს - დ. კრაზემანი, სკოლის დირექტორად - ა. პრემაცი.

მოულოდნელად გაჩენილმა ხანძარმა დიდი ზარალი მიაყენა სამხატვრო საზოგადოებას. განადგურდა ნამუშევრები, წიგნები, ფოტომასალა. მეფის მთავრობამ საზოგადოებას დაუნიშნა ფულადი დახმარება წელიწადში 550 მანეთის ოდენობით მანუფაქტურისა და ვაჭრობის ფონდიდან, რაც სამხატვრო სკოლის სრული ფუნქციონირებისათვის არ იყო საკმარისი. ამიტომ საზოგადოება ხშირად მართავდა თეატრალურ თუ ფასიან მუსიკალურ შეხვედრებს. ხანძრით დაზარალებულები დროებით მეცადინეობას არსენალის ქუჩაზე მართავდნენ. საზოგადოება ხშირად იღებდა კერძო შემოწირულობას, ასევე მისივე წევრებისგან. ცნობილია, რომ დირექტორმა პრემაციმ თავისი ნახატები და გრავიურების ალბომი სამხატვრო საზოგადოებას საჩუქრად გადასცა.[11] ტალიზინის შემდეგ „კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი კავკასიის საზოგადოებას“ მართავდნენ: ო. სიმონსონი, ლ. პრემაცი, ვ. ვირუბოვი, ს. ფონ-ვეისენჰოფი, მ. ჰეკელი და სხვ.

1887 წელს პეტერბურგის საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტს მეფისნაცვალმა დონდუკოვ-კორსაკოვმა თხოვნით მიმართა თბილისის სამხატვრო სკოლა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის მფარველობის ქვეშ მოეაზრებინათ, რეორგანიზებული წესდებით, სამოქმედო გეგმით, საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფისთვის, მუზეუმის მოსაწყობად ფერწერისა და პლასტიკურ ხელოვნებაში შექმნილი ნაწარმოებებით და სამთავრობო გაზრდილი დახმარებით, რაზედაც დიდი მთავრის გამოხმაურება უპასუხოდ დარჩა.[12] საყურადღებოდ მნიშვნელოვანია სამ-

10 Похомов ე.ა დასახ. ნაშრომი.

11 საქ. ცსსა. ფ. 422. აღ. 1 ს. #4804.

12 იქვე.

ხატვრო საზოგადოების პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის პედაგოგის, ცნობილი მხატვრის, ი. რეპინის წერილი თბილისის სამხატვრო საზოგადოებისადმი გამოხატული თანადგომით, რასაც ადასტურებს გაზეთ „კავკაზში“ დაბეჭდილი სტატია „საჭიროა თუ არა ხელოვნების სკოლა თბილისში?“.

ილია რეპინი წერდა: „ასეთი გასაოცარი ქვეყანა, როგორც საქართველოა, არ შეიძლება არ შობდეს მხატვრულ ძალებს, მე მჯერა, რომ კავკასიის მხატვრული ცხოვრება წინაა, ეს გასაოცრად მშვენიერი ქვეყანა შობს მხატვრებს, რომლებიც ღირსნი იქნებიან მისი ასახვისა ხელოვნებაში... სამხატვრო სკოლების გახსნა აუცილებელია, რომ გასაქანი მიეცეს ადგილობრივ მხატვრულ ძალებს, რაც ორიგინალური, თავისებური მხატვრული სახის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანია და რაც საშუალებას მისცემს მხატვრებს, თავი დააღწიონ დადგენილ შაბლონს და გამოიმუშავონ საკუთარი სტილი. დამაჯერებლად, გულწრფელად, უყოყმანოდ, სხვისი გემოვნების გარეშე... დროა თბილისში მოეწყოს ადგილობრივი სამხატვრო სკოლა, ფერწერის ქანდაკების და არქიტექტურის სწავლებით. სკოლის დაარსება ადგილობრივ პირობებსაც უნდა ითვალისწინებდეს. რაც შეიძლება ნაკლები კანცელარული წვრილმანების გარეშე. სამხატვრო სკოლის გარეშე ხელოვნება, კულტურა ვერ განვითარდება. ხელოვნება მეცნიერულ აზროვნებას უნდა ეფუძნებოდეს. ხელოვნების დარგების განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მეცენატთა შემოწირულობა. თბილისში აუცილებელია მხატვრული ოაზისის დაფუძნება“ საქართველოში, როგორც დიდი კულტურისა და ტრადიციების ქვეყანაში ამგვარი სკოლის არსებობა სავალდებულოა.

რუსეთში სასწავლებლად მყოფ ქართველ სტუდენტებზე ნათქვამი მისი სიტყვები მხატვრული ძალით და ერთგვარად პოეტურად გაისმის: „ჩემს თვალწინ გაიელვა ბევრმა ლამაზმა, გრაციოზულმა ფიგურამ, ფერმკრთალი სახით, ნატიფი პროფილით, გენიოსის ღრმა მელანქოლიით დალიბრული მომაჯადოებელი შავი თვალებით, დარდით ფანტასტიკურ სამშობლოზე საქართველოზე“.[13]

სამხატვრო სასწავლებელმა, უსახსრობის გამო, 1891 წელს სხვა შენობაში გააგრძელა ფუნქციონირება. ხატვის სწავლების მსურველთა რაოდენობა კი საგრძნობლად იმატებდა და საზოგადოების ხელმძღვანელებმა უფლება მისცეს მასწავლებელებს, კერძო კლასები გაეხსნათ. კ. კეპენს, პ. კოლჩინს, ლ. პრემაცის სწორედ ასეთი სწავლის კურსები ჰქონდათ. 1897 წელს კერძო სამხატვრო კლასი უცხოეთიდან დაბრუნებულ გიგო გაბაშვილსაც აქვს. აღსანიშნავია ამ დროისთვის თბილისის გიმნაზიებში ხატვის სწავლება. მაღალი დონის მაჩვენებელია მოსწავლეთა მონაწილეობა გამოფენებსა თუ პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის მიერ მოწყობილ კონკურსებში. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ოსკარ შმერლინგის სახელოსნოში დაოსტატებული გიმნაზიის მოსწავლეები. მათგან 1897 წელს გამართულ კონკურსზე ქალთა გიმნაზიის ათმა მოსწავლემ წარადგინა ნამუშევრები. 1898 წელს ო. შმერლინგი დაჯილდოვდა მოსწავლეებთან მუშაობის საუკეთესო შედეგებისთვის. ასევე მადლობა გადაუხადეს მასწავლებელ ე. ჰეინეს.

წერილობითი დოკუმენტების მიხედვით, სამხატვრო სკოლის მიერ თორმეტი

13 ვაზ. „Кавказ“, #106, 1886.

წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების შედეგად კლუბის წევრთა შემადგენლობა ერთგვარად შემცირდა (37 ადამიანი). 1877 წლისგან განსხვავებით, 1886 წელს მოსწავლეთა რაოდენობა 54-მდე გაიზარდა. ფონ ვეისენგოვი მოითხოვდა სკოლის შენობისთვის დამატებითი ოთახების, სხვადასხვა საგნის, ბიბლიოთეკის და მუზეუმის გახსნასაც.[14] კრებაზე დამსწრე საზოგადოების ნაწილი მოითხოვდა დამოუკიდებელ სასწავლებელს, რომლის კურსდამთავრებულებს უმაღლეს სამხატვრო სასწავლებელში სწავლის გაგრძელება უფასოდ შეეძლებოდათ. ჩატარებული კრების შედეგად აირჩიეს საბჭოს ახალი წევრები და კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ზახაროვი, ლონგო, ფიშერი, როდინსკი, შამშინოვი, შიმკევიჩი. საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ გაკელი, ვიცე თავმჯდომარე ფონ ვეისენგოვი. 1886 წლის დეკემბერში ჩატარებულ საზოგადოების კრებაზე „მხატვართა წამახალისებელი საზოგადოება კავკასიაში" ეწოდა. განახლებული წესდების მიხედვით ამ სამხატვრო სკოლას მოსწავლეები პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში სწავლებისთვის უნდა მოემზადებინა. სკოლაში ხატვა მოიაზრებდა: ხატვის ელემენტარული უნარ-ჩვევების, ანტიკური ხელოვნების ნიმუშების - თაბაშირისგან დამზადებული ფიგურის მიხედვით შესრულებულ ნახატს, ძერწვის ხელოვნების, ხაზვის, ფერში მუშაობის საფუძვლების დაუფლებას.

სამხატვრო სასწავლებლის რეორგანიზებული წესდება გაეგზავნა კავკასიის მთავარმართებელს, რომელიც ამასთანავე საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის საპატიო წევრი იყო. თხოვნა სკოლა საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის მეთვალყურეობის, მისი მფარველობის ქვეშ ყოფილიყო, უპასუხოდ დარჩა. საზოგადოება ძველი, 1877 წლის წესდებით, აგრძელებდა მუშაობას. მსმენელთა მხრიდან ხატვის სწავლების დაუფლების სურვილი სულ უფრო იზრდებოდა და საზოგადოებამ წევრებს უფლება მისცა თავისუფალი დროის ხარჯზე ფერწერის, ხატვის, ქანდაკების კლასები გაესნათ. 1885-1889 წლებში ა. შამშინოვი, 1889-1894 წლებში - პ. კოლჩინი, 1893 წელს - ო. შმერლინგი, 1896 წელს მოქანდაკე იაცუნსკი. განსაკუთრებით სახელგანთქმული იყო კ. კეპპენის ოფიციალური სკოლა, რომლის მოსწავლეებს უფლება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის კონკურსში.[15]

თბილისში 1897 წელს სამხატვრო კლასები გახსნილი ჰქონდათ: გ. გაბაშვილს, ფ. რუბოს, ა. კანდაუროვს, ნ. სკლიფასოვსკის. ამ კლასებში ეუფლებოდნენ ხატვის საფუძვლებს მომავალში ცნობილი მხატვრები: ანტონ გოგიაშვილი, ალექსანდრე ციმაკურიძე, ლადო გუდიაშვილი, ქეთევან მაღალაშვილი, ელენე ახვლედიანი, დავით გველესიანი, მიხეილ ჭიაურელი, შალვა ძნელაძე, ალექსანდრე მრევლიშვილი, ვალერიან სიდამონ-ერისთავი, გრიგოლ მესხი.

რამდენიმე სიტყვით შევეხებით ნიკოლოზ სკლიფასოვსკის ცხოვრებასა და შემოქმედებას. საქართველოში ჩამოყალიბდა იგი როგორც შემოქმედი და პედაგოგი. ნ. სკლიფასოვსკი ერთ-ერთი პირველთაგანია, ვისი როლიც ხატვის პროფესიულად სწავლების მეთოდური გზების ძიებაში საგანგებო აღნიშვნას მოითხოვს. პიროვნული თვისებებითაც გამორჩეული ხელოვანი შესანიშნავ მხატვართა მთელი თაობის

14 ვაზ. „Кавказ", #106, 1886.

15 Похомов ე.ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 465.

აღმზრდელადაც გვევლინება. მათ შორის არიან: ე. ახვლედიანი, ს. ქობულაძე, კ. ზდანევიჩი, ა. ბაჟბეუქ-მელიქოვი, ა. ციმაკურიძე.

ნიკოლოზ სკლიფასოვსკიმ გიმნაზიის დასრულების შემდეგ დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. პარალელურად ეუფლებოდა ხატვის საფუძვლებს გრაფ სტროგანოვის დაარსებულ სამხატვრო სასწავლებელში. მოსკოვშივე გაიცნო მხატვარი ბორის ფოგელი და დაუმეგობრდა მას. ფოგელის მოგონებით, სკლიფასოვსკი სწავლობდა მხატვარ აკვარელისტ ლევ სკადოვსკისთან, რომელიც ცნობილი იყო ჟანრული სცენების შესრულებით. 1895 წელს ნ. სკლიფასოვსკი თბილისში ჩამოვიდა და პირველ გიმნაზიაში ხატვის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. 1905 წელს კი ბათუმში, ქალთა გიმნაზიაში, ასევე ხატვის მასწავლებელად. ბათუმში, თავისსავე საცხოვრებელ სახლში, მან დააარსა სამხატვრო სკოლა (ნატურიდან ხატვისთვის საჭირო ინვენტარით). სამხატვრო სასწავლებელი 8 წლიდან ზემოთ ასაკის მოსწავლეთათვის იყო განკუთვნილი. ბათუმში ნ. სკლიფასოვსკიმ ოცდაათი წელი დაჰყო. ზღვისპირა ქალაქში გატარებული წლები მისთვის შემოქმედებითად ნაყოფიერი აღმოჩნდა. აქ დაუახლოვდა ადგილობრივ მხატვრებს (პახომოვი, ილიუშინი), რომელთა საქმიანობაც სამხატვრო სკოლებთან და საბავშვო გამოფენებთან იყო დაკავშირებული. 1909 წელს ნ. სკლიფასოვსკი თბილისშია და ხატვას ქალთა მეორე გიმნაზიაში ასწავლის. სწორედ თბილისში დაბრუნებულს უჩნდება პროფესიული სამხატვრო სკოლის ჩამოყალიბების იდეა, რისთვისაც თხოვნით მიმართა კავკასიის სასწავლო ოლქის რწმუნებულს. შედეგად, 1909 წლის 1 სექტემბერს თბილისში ხატვის კერძო კურსები გაიხსნა.

სამხატვრო სკოლის სამ ოთახში განლაგებული სამუშაო სივრცე მოიცავდა: კანცელარიის კაბინეტს, ელემენტარულ და მთავარ კლასებს. სამუშაო ოთახებში საგანგებოდ დამზადებული მაგიდებითა და მოლბერტებით. სკლიფასოვსკი საღებავებს იწერდა ლონდონიდან, ბერლინიდან, მოსკოვიდან. პარიზიდან - ქაღალდის ფურცლებს, ნახშირს. დრეზდენიდან - ფუნჯებს და პიგმენტებს, თავადვე რომ დაემზადებინათ საღებავები. სკოლაში მოსწავლეთა უმრავლესობა უფასოდ სწავლობდა. მეცადინეობა მიმდინარეობდა ყოველდღე, კვირის გარდა, ექვსიდან ცხრა საათამდე. ფერწერას ასწავლიდნენ ნ. სკლიფასოვსკი და ბ. ფოგელი.დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების საწყისებს - ანტონინა კარიკოვა (სტროგანოვის სასწავლებლის აღზრდილი), კალიგრაფიასა და შრიფტს - ირჟი გაველკა, ქანდაკებას - ბორის შებუევი. სკლიფასოვსკის გამორჩეული პედაგოგიური ნიჭის წყალობით, სკოლაში განსაკუთრებული ატმოსფერო სუფევდა. შემოქმედებით გარემოს განაპირობებდა კონცერტებიც, რომლებსაც ნიკოლოზის მეუღლე და ვიოლონჩელისტი ბოგუმილა სიკორი და თავად სკლიფასოვსკი ასრულებდნენ. მოსწავლეები მასწავლებლებთან ერთად ხშირად პლენერზე გადიოდნენ და ბუნებაში ხატავდნენ. თავად სკლიფასოვსკი ხშირად გამოდიოდა გიმნაზიებში, სკოლებში მოხსენებებით ხატვის სწავლების შესახებ.

ხატვისა და ფერწერის კურსები 1914 წლამდე არსებობდა. სკლიფასოვსკი პირველი მსოფლიო ომის დროს ფრონტზე გაიწვიეს. თავდაპირველად თურქეთში, შემდეგ დერბენდში, ელიზავეტოპოლში. თბილისში, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, შვილებთან ერთად დაბრუნდა. ნ. სკლიფასოვსკიმ პედაგოგიური მოღვაწეობა გა-

აგრძელა 1918-1921 წლებში „კავკასიის ნატიფი ხელოვნების სამხატვრო სკოლაში“, სადაც ის ხატვის მასწავლებელთა გადამზადების კურსს უძღვებოდა.

ბუნების ხედების გამომსახველობის (ბუნების იდეალიზების გარეშე) ჩვენებას კლიფასოვსკის პეიზაჟებში მხატვრის ცხოვრებისეული ემოციების გამოხატვის მთავარ საშუალებას წარმოადგენდა. რუსული სახვითი ხელოვნების რეალისტური სკოლის,[16] მათ შორის რეპინის, სეროვისა და ლევიტანის მიმდევარი სკლიფასოვსკი, მიუხედავად სხვადასხვა ჟანრში (პორტრეტი, პეიზაჟი, ნატიურმორტი) მუშაობისა, არ იცვლიდა შესრულების სტილსა და მანერას. ჟანრული სურათების ფაქიზად ჰარმონიზებული კოლორიტი, მშვიდი, ღრმა მეოცნების ხასიათით, რეალიზმის და ერთგვარად რომანტიკულობის ელფერის ნაზავით იყო გამორჩეული. მხატვარი „ყოველდღიურობით“ დატვირთული, სალონური ეფექტებისგან დაცლილი, ადამიანთა და ბუნების მოკრძალებული სილამაზის გადმოცემას ესწრაფვოდა, რასაც რბილი, პასტელური კოლორიტით, ფუნჯის ოსტატური მონასმებით ქმნიდა. ასეთია მისი ნამუშევრები: „მოსკოვის შემოგარენის პეიზაჟი“, „ქალიშვილის პორტრეტი კოჯორში“, „მეუღლის პორტრეტი“, „ზუბალაშვილის პორტრეტი“, „ნატიურმორტი ვარდებით“, „ნავი“, „ბათუმი“ და სხვ.

1910 წელს შეიქმნა სამხატვრო საზოგადოება, რომლის ორგანიზების ინიციატორები იყვნენ გ. გაბაშვილი, დ. გურამიშვილი. საზოგადოების წესდებაში გაწერილი იყო სამოქმედო გეგმა, რომელშიც მოაზრებული იყო: გამოფენების მოწყობა, ნატიფი ხელოვნების სკოლის დაარსება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა, ზრუნვა, სახვითი ხელოვნების ნიმუშების შეგროვება.

ქართველ მხატვართა საზოგადოებას 1921 წლისთვის უკვე ჩატარებული ჰქონდა ორი გამოფენა 1919 წელს და მესამე გამოფენა 1920 წელს. პირველ გამოფენაზე 15 მონაწილე მხატვრის (ელენე ახვლედიანი, დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, მოსე თოიძე, გიგო გაბაშვილი, ალექსანდრე მრევლიშვილი, იაკობ ნიკოლაძე, ნიკო ფიროსმანაშვილი) 270 ნამუშევარი იყო გამოფენილი.

კავკასიის მხატვართა საზოგადოებასთან არსებულ სამხატვრო სკოლას რეალისტური მხატვრობის განვითარებაში მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის. საზოგადოება გამოეფენებს ინსტენსიურად აწყობდა (1888, 1890, 1892, 1893, 1894, 1897).

თბილისის სამხატვრო სკოლამ 1902 წელს სამხატვრო აკადემიის მფარველობის ქვეშ, ქალაქის მმართველობის დაფინანსებით, განაგრძო მუშაობა. ეს სამხატვრო სასწავლებელი მოგვიანებით ფერწერისა და ქანდაკების სკოლად მოიხსენიება. ამავე სკოლის ბაზაზე დაფუძნდება თბილისის სამხატვრო აკადემია.

საგანგებო სამხატვრო სკოლების გარდა, ხატვის შემსწავლელი კურსები, თბილისის გარდა, საქართველოს თითქმის ყველა დიდი ქალაქის (ბათუმი, ქუთაისი, სოხუმი) გიმნაზიებში იყო გახსნილი. ხატვის სწავლებასა და მეცადინეობისთვის საჭირო სამუშაო ინვენტარსაც აქ სასწავლებელი აფინანსებდა.

1916 წელს შექმნა „ქართველ მხატვართა საზოგადოება“. 1921 წელს მან მხატ-

16 XIX ს. ბოლო-XX ს. პირველი ათეული წლები რეალისტური ხელოვნების აღმავლობის ხანაა. ცხოვრებისეული სინამდვილის ამსახველი სცენების ჩვენება ამ პერიოდის მხატვართა შემოქმედების წამყვანი თემაა. ისინი ახალ ფერწერულ ამოცანებს, წერის ახალ მანერას ეძიებენ. განსაკუთრებით ძლიერ ზეგავლენას ახდენდა მხატვრებზე ი. რეპინის შემოქმედება.

ვართა პირველი კონფერენცია ჩაატარა. სწორედ ამ კონფერენციაზე მიიღეს წესდება და სწავლების ახალი დებულებები, რომლებიც, ფაქტობრივად, სამხატვრო აკადემიის დაარსების საფუძველი გახდა.

„ქართველ მხატვართა საზოგადოება“ 1929 წლამდე არსებობდა და არაერთი მნიშვნელოვანი ექსპედიცია მოაწყო ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესასწავლად. საზოგადოების მუშაობის შედეგად დაარსდა სამხატვრო სკოლები და სამხატვრო გალერეა. „კავკასიის ნატიფი ხელოვნების გამავრცელებელ საზოგადოებასთან“ ფერწერისა და ქანდაკების სკოლა მოქმედებდა. 1918-1921 წლებში მას ხელმძღვანელობდა პოლონელი მხატვარი ჰენრიკ ჭრინევსკი. 1921 წელს ეს სკოლა უმაღლესი სამხატვრო კურსების სახელითაა ცნობილი, მის ბაზაზე მოგვიანებით სამხატვრო აკადემია დაფუძნდება. „სახალხო განათლების კომისარის ნებართვით თბილისში უნდა დაარსდეს საქართველოს სამხატვრო აკადემია აგებული ცოცხალი ბუნების შესწავლის პრინციპზე, იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს პლასტიკური ხელოვნების დარგების შესწავლას საქართველოში. ამ დადგენილებამდე ერთი წლით ადრე, ხელოვნების მთავარი კომიტეტის სახვითი ხელოვნების სექციის საბჭოს პირველმა კონფერენციამ (1921 წლის 25 მაისი) უკვე სამხატვრო კადრების მომზადების საკითხებზე იმსჯელა.

სახვითი ხელოვნების სწავლების მეთოდოლოგიაზე მონაცემების სიმცირის მიუხედავად, XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის თბილისის მხატვრული ცხოვრება, სამხატვრო სკოლების, მხატვართა საზოგადოებების ჩამოყალიბების ისტორია და მასთან დაკავშირებული ფაქტობრივი მასალები, მნიშვნელოვან საფუძველს გვაძლევს ამ პერიოდის ხელოვნების განვითარების გზების, მხატვრული შეხედულებების, სახვითი ხელოვნების სწავლების სპეციფიკური ასპექტების, პედაგოგიური მიდგომების თუ პრინციპების გააზრება, მომავალი სიღრმისეული კვლევის საგნად მოვიაზროთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბესაძე ი., „საქართველოს მხატვართა კავშირის შექმნის სათავეებთან“, თბილისი, 2022;
2. ბაქრაძე აკ., „თერგდალეულები“ https://matiane.wordpress.com/2011/08/30/akaki-bakradze-tergdaleulebi
3. სურგულაძე ი., „სჯულდება“ იოანე ბაგრატიონისა“, თბილისი, 1957;
4. ფერაძე თ., „რუსი და უცხოელი მხატვრები საქართველოში“, თბილისი, 1964;
5. ჭინჭარაული ნ., „თერგდალეულთა ეპოქის უცნობი პეიზაჟისტი“, ARS GEORGIKA, 2021;
6. ჯავახიშვილი გ., „სამხატვრო ცხოვრება საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის I ნახევარში“, თბილისი, 1997;
7. გაზ. „Кавказ“, 1851, # 72;
8. გაზ. „Кавказ“, 1873, # 38;
9. გაზ. „Кавказ“, 1886, #106;
10. Похомов Д.А., „К 25 летию Тифлисского художественного обшество,“ ჟურნ. „Искусство и Промишленность“, # 6, 1899;
11. Дзуцова И., „Труженик искусства: О Николае Васильевиче Склифосовском“, 2016.

Ekaterine Tabukashvili

THE HISTORY OF THE TEACHING OF FINE AND APPLIED ARTS /Late 19th century and early 20th century/

Summary

The artistic, lively and innovative artistic space of Tbilisi in the 19th century - 1920s of the 20th century is the subject of scientific research and exploration by numerous researchers. This article is also devoted to the study of the stages of the formation and development of art education in Georgia, as well as an overview of the main features of the educational process, content, structure and creative "programs". The end of the 19th century and the years of independence of Georgia in 1918-1921 were a very interesting historical era in Georgian reality. Despite the fact that this period (1918-1921) was somewhat taboo for Georgian culture, this time was also significantly distinguished by diverse creative thinking. The existence of scientific fields such as history, archeology, a society for the dissemination of literacy, and a church museum also created a general picture of the development of humanitarian sciences. In 1874, the first, elementary art school was founded, which was formed under the leadership and support of the "Art Society". In 1877, drawing classes were opened. In the same year, the "Caucasian Society of Fine Arts" was founded, which was the only artistic and creative school in Transcaucasia until 1907. The following famous and prominent artists studied at this school: A. Beridze, K. Zdanevich, G. Bashinjaghiani, A. Bazbeuk-Melikov, A. Shamshinian.

In 1901, a six-class art school was opened in the building of the "Caucasian Society of Fine Arts" - the "First School of Painting and Sculpture", which was initially headed by A. Kandaurov, and then, in 1902-1917, by Oscar Schmerling. The following people taught the art of drawing here: G. Gabashvili, O. Schmerling, G. Bashinjaghiani, H. Hrinevski. It is noteworthy that in 1908 a joint meeting of drawing teachers was held in Tbilisi, where French and Russian teaching methods were chosen as the form of teaching fine arts. In 1909-1910, Nikola Sklifasovsky worked at the school of the "Caucasian Society of Fine Arts", who was the first to establish an art school in Batumi, and taught at the Batumi Girls' and Boys' Gymnasium. The artist, who worked on drawing teaching programs, also participated in the Dresden International Congress in 1913 with a report, in which he presented the drawing teaching program. In this memoir, N. Sklifasovsky noted: "One glance at the exhibits exhibited here is enough to make sure how connected the entire system of school education is with life, how much joy the themes of the use of colors and the diversity of forms, which are directly taken from the world around us, bring to teaching." In 1921, the School

of Painting and Sculpture was established, which was considered under the auspices of the St. Petersburg Art School. By 1921, there were already several art schools in Tbilisi and other cities of Georgia, and after 1921, there was also the so-called Higher Art Studio. In 1922, the Tbilisi Academy of Arts was founded on the basis of the "Caucasian Society of Fine Arts". The expression of the universal idea of nationalism (the search for a national form), the main driving force of education during this period, is of fundamental importance.

Since the 60s of the 19th century, Georgian public figures who had received their education in Russia and European countries, have been placing a mental emphasis on the connection of national culture, art with the nation, on its unity, which also implied an understanding of the issues of Western European philosophical and aesthetic cognition and cultural innovations. In this regard, the views of Archil Jorjadze and his philosophy of art are very interesting. In his opinion, art is one of the means of "understanding" the world and moral elevation. When analyzing a work of art, he focused more on content than on formal expression. With a kind of rejection of traditional artistic forms, artistically minded creators speak of “Art for Art’s Sake.” In Geronti Kikodze’s letter “For Georgian Art,” it is emphasized: “The search for new paths seems to be a phenomenon in almost all fields of Georgian art, the breaking of traditional forms and creation with elements for a new aesthetic synthesis is a phenomenon. Young Georgian poets, artists, and musicians are especially appreciated, whose desire is to give renewed art to a renewed Georgia.” Understanding this important period, the history of national painting, through an educational or historical-cultural prism, analyzing the prerequisites for the development of the era, culture in general, and the history of fine arts, and the historical or cultural contexts is particularly noteworthy. Understanding it through an educational or historical-cultural prism, analyzing the prerequisites for the development of the era, culture in general, the history of fine arts, and historical or cultural contexts is particularly noteworthy. Understanding it through an educational or historical-cultural prism, analyzing the prerequisites for the development of the era, culture in general, the history of fine arts, and historical or cultural contexts is particularly noteworthy.

Ekaterine Tabukashvili

ZUR GESCHICHTE DES UNTERRICHTS VON BILDENDER UND ANGEWANDTER KUNST /Spätes 19. Und frühes 20. Jahrhundert/

Zusammenfassung

Beispiele für die Lehre der Schönen Künste (19. Jahrhundert – 1920er Jahre des 20. Jahrhunderts) (Forschung).

Der künstlerische, lebendige und innovative Kunstraum Tiflis im 19. Jahrhundert – 1920er Jahre des 20. Jahrhunderts ist Gegenstand wissenschaftlicher Forschung und Erkundung durch zahlreiche Forscher. Dieser Artikel widmet sich auch der Untersuchung der Phasen der Entstehung und Entwicklung der Kunsterziehung in Georgien sowie einem Überblick über die Hauptmerkmale des Bildungsprozesses, der Inhalte, der Struktur und der kreativen „Programme“. Das Ende des 19. Jahrhunderts und die Jahre der Unabhängigkeit Georgiens 1918–1921 waren eine sehr interessante historische Epoche in der georgischen Realität. Obwohl diese Periode (1918–1921) für die georgische Kultur eher tabu war, zeichnete sie sich auch durch vielfältiges kreatives Denken aus. Die Existenz von Wissenschaftsbereichen wie Geschichte, Archäologie, einer Gesellschaft zur Verbreitung der Alphabetisierung und eines Kirchenmuseums zeichnete zudem ein allgemeines Bild der Entwicklung der Geisteswissenschaften. 1874 wurde die erste elementare Kunstschule gegründet, die unter der Leitung und Unterstützung der „Kunstgesellschaft“ entstand. 1877 wurden Zeichenkurse eröffnet. Im selben Jahr wurde die „Kaukasische Gesellschaft der Schönen Künste“ gegründet, die bis 1907 die einzige Kunst- und Kreativschule in Transkaukasien war. An dieser Schule studierten folgende berühmte und bedeutende Künstler: A. Beridze, K. Zdanevich, G. Bashinjaghiani, A. Bazbeuk-Melikov, A. Schamschinjan.

1901 wurde im Gebäude der „Kaukasischen Gesellschaft der Schönen Künste“ eine sechsklassige Kunstschule eröffnet – die „Erste Schule für Malerei und Bildhauerei“, die zunächst von A. geleitet wurde. Kandaurov und dann von 1902 bis 1917 von Oskar Schmerling geleitet. Hier wurde die Kunst des Zeichnens gelehrt: G. Gabashvili, O. Schmerling, G. Bashinjaghiani, H. Hrinevsky. Bemerkenswert ist, dass im Jahr 1908 in Tiflis ein gemeinsames Treffen von Zeichenlehrern stattfand, bei dem französische und russische Lehrmethoden als Unterrichtsformen für die schönen Künste gewählt wurden. In den Jahren 1909–1910 arbeitete Nikola Sklifasovsky an der Schule der „Kaukasischen Gesellschaft der Schönen Künste“, der als erster eine Kunstschule in Batumi gründete, und unterrichtete am Mädchen- und Jungengymnasium von Batumi. Der Künstler, der sich mit Zeichenausbildungsprogrammen beschäftigte, nahm auch am Internationalen Kongress in Dresden 1913 mit einem Vortrag teil,

in dem er ein Zeichenausbildungsprogramm vorstellte. In dieser Erinnerung, N. Sklifasovsky bemerkte: „Ein Blick auf die hier ausgestellten Exponate genügt, um uns davon zu überzeugen, wie sehr das gesamte System der Schulbildung mit dem Leben verbunden ist, wie viel Freude die Themen der Verwendung von Farben und der Vielfalt der Formen in den Unterricht bringen, die direkt aus der Welt um uns herum entnommen sind.“ Im Jahr 1921 wurde die Schule für Malerei und Bildhauerei gegründet, die unter der Schirmherrschaft der St. Petersburger Kunstschule stand. Im Jahr 1921 gab es bereits mehrere Kunstschulen in Tiflis und anderen Städten Georgiens, und nach 1921 wurden die sogenannten Jahr Es gibt auch ein höheres Kunstatelier. Im Jahr 1922 die Tifliser Kunstakademie wurde auf der Grundlage der „Kaukasischen Gesellschaft der Schönen Künste“ gegründet. Der Ausdruck der universellen Idee des Nationalismus (der Suche nach einer nationalen Form), der Hauptantriebskraft der Bildung in dieser Zeit, ist von grundlegender Bedeutung.

Seit den 60er Jahren des 19. Jahrhunderts legen georgische Persönlichkeiten des öffentlichen Lebens, die ihre Ausbildung in Russland und europäischen Ländern erhalten hatten, großen Wert auf die Verbindung der nationalen Kultur und Kunst mit der Nation, auf ihre Einheit, was auch ein Verständnis für die Probleme westeuropäischer philosophischer und ästhetischer Erkenntnis und kultureller Innovationen voraussetzt. In diesem Zusammenhang sind die Ansichten von Archil Jorjadze und seiner Kunstphilosophie sehr interessant. Seiner Ansicht nach ist Kunst ein Mittel zum „Verstehen“ der Welt und zur moralischen Erhebung. Bei der Analyse eines Kunstwerks konzentrierte er sich mehr auf den Inhalt als auf den formalen Ausdruck. In gewisser Weise lehnen künstlerisch denkende Künstler traditionelle Kunstformen ab und sprechen von „Kunst um der Kunst willen“. In Geronti Kikodzes Brief „Für die georgische Kunst“ wird Folgendes betont: „Die Suche nach neuen Wegen scheint ein Merkmal der georgischen Kunst in fast allen Bereichen zu sein. Das Aufbrechen traditioneller Formen und das Schaffen mit Elementen ist ein Phänomen für eine neue ästhetische Synthese. Junge georgische Dichter, Künstler und Musiker werden besonders geschätzt, deren Wunsch es ist, einem erneuerten Georgien eine erneuerte Kunst zu schenken.“ Von besonderem Interesse ist es, diese wichtige Epoche, die Geschichte der nationalen Malerei, aus pädagogischer bzw. historisch-kultureller Perspektive zu verstehen und dabei die Voraussetzungen für die Entwicklung der Epoche, der Kultur im Allgemeinen und der Geschichte der schönen Künste sowie die historischen bzw. kulturellen Kontexte zu analysieren.Besonders hervorzuheben ist das Verständnis aus pädagogischer bzw. kulturhistorischer Perspektive, die Analyse der Voraussetzungen für die Entwicklung der Epoche, der Kultur im Allgemeinen, der Geschichte der schönen Künste sowie der historischen bzw. kulturellen Kontexte.Besonders hervorzuheben ist das Verständnis aus pädagogischer bzw. kulturhistorischer Perspektive, die Analyse der Voraussetzungen für die Entwicklung der Epoche, der Kultur im Allgemeinen, der Geschichte der schönen Künste sowie der historischen bzw. kulturellen Kontexte.